პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 20 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

13 (1008)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ვვანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## კომკავშირელი-წითელ არმიელი სამაგალითო წითელი მებრძოლი უნდა იყოს.

კომუნისტური პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია კომკავშირის მუშაობის საკითხს. ამ მხრივ ყრილობამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებიც ეხებიან პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს კომკავშირზე, კომკავშირის ყოფა ცხოვრების მოგვარებას და სხვა. განსაკუთრებით ყრილობამ ხაზი გაუსვა კომკავშირის დისციპლინის გაძლიერებას და განმტკიცებას.

თავის მოხსენებაში ამხ. ბუხარინმა აღნიშნა, რომ ნაწილი კომკავშირელებისა დისციპლინის მხრივ მოიკოჭლებენ, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

კომკავშირი პარტიის ცვლაა, ეს კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც მთელ კომკავშირს ისე თითეულ მის წევრს. როგორც პარტიის წევრი ისე კომკავშირელი აქტიური მშენებელი უნდა იყოს ჩვენი სოციალისტური "სახელმწიფოსი. და ამ დიდ აღმშენებლობაში ის საუკეთესო მაგალითი უნდა გახდეს დანარჩენ მუშურ გლეხური ახალგაზრდობისათვის.

თავაშვებულობა, უდისციპლინობა, ლოთობა, „ფეხებზე მკიდიობა" და სხვა ყოველივე ამ გვარი არანორმალური მოვლენები კომკავშირის ცხოვრებაში ძირფესვიანად აღმოფხვრილ უნდა იქნას.

კომკავშირის თითეული წევრი უნდა გახდეს რევოლიუციონური დისციპლინის და შეგნების საუკეთესო მაგალითი.

განსაკუთრებით ეს ითქმის წითელარმიელ—კომკავშირელზე. წითელ ჯარში კომკავშირი დიდ როლს თამაშობს.

წითელ არმიელი კომკავშირელი საუკეთესო აღმშენებელი უნდა იყოს წითელი ჯარის.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს მას, რომ კომკავშირელი წითელ არმიელი რევოლიუციონური ჯარის კაცის საუკეთესო განსახიერება უნდა იყოს. ის ყოველ მხრივ უნდა მოუწოდებდეს წითელ ჯარში მოსულ მშრომელ ახალგაზრდობას გულმოდგინე სამხედრო-პოლიტიკურ სწავლისაკენ, დისციპლინიანობისაკენ და სხვა.

ამისათვის კი საჭიროა თვით მისცეს ამ მხრივ თავის ამხანაგებს მაგალითი. ე. ი. თვით უნდა იყოს დისციპლინიანი, ბრძანების შემსრულებელი, შეგნებული, მუყაითი, ფხიზელი მებრძოლი. აი როგორი უნდა იყოს კომკავშირელი! აი რა სთქვა არსებითად მე-14 პარტყრილობამ კომკავშირის შესახებ!

ამიტომ ყოველივე ჯარში მომუშავე კომკავშირელის მოვალეობას შეადგენს კარგად შეისწავლოს მე-14 პარტყრილობის დადგენილებები და განსაკუთრებით ის ნაწილი, სადაც ლაპარაკი არის კომკავშირის მორიგ ამოცანებზე.

და არა თუ უნდა შეისწავლოს, არამედ კიდევაც უნდა გაატაროს ცხოვრებაში ეს დადგენილებები და ამით ხელი შეუწყოს, როგორც კომკავშირის აზრდასა და გაძლიერებას, ისე წითელი ჯარის განმტკიცების საქმესაც.

## გერმანიის სოციალდემოკრატიის რიგები კვლავ ირყევა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგები კვლავ ირყევა. მასში იზრდება მემარცხენე მიმდინარეობა. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა არის. გერმანელი მენშევიკების შემთანხმებლურმა და გამყიდველმა პოლიტიკამ ბევრი დამარცხებები აგემა ამ ქვეყნის პროლეტარიატს ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს. ცხადია ის პარტია, რომელიც თავის თავს მუშურ პარტიას უწოდებს, ხოლო სინამდვილეში კაპიტალის სასარგებლო საქმეს აკეთებს, ადრე თუ გვიან მოისპობა დრო მოჭმულ კლასთან—ბურჟუაზიასთან ერთად. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ისეთივე ხანგრძლივი რღვევის პროცესს განიცდის, როგორც მთელი გერმანიის კაპიტალისტური წესწყობილება. დღითი დღე მუშათა კლასი რწმუნდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკუღმართ, გამცემლურ პოლიტიკაში. როცა გერმანია განიცდიდა საშინელ კრიზისს და მუშათა კლასი უმწეო მდგომარეობაში იყო, მენშევიკები მას ჩასძახოდენ: „ცოტა მოიცადე, მოითმინე, აგერ დაუესის გეგმას გავატარებთ და ყველაფერი გამოკეთდებაო". მაგრამ გადის დრო, დაუესის გეგმა გატარდა, მაგრამ სად არის შველა? გაუმჯობესდა გერმანელ პროლეტარიატის მდგომარეობა? ოდნავაც არა. პირიქით გაუარესდა. სოციალ-დემოკრატიამ როგორც ყოველთვის ისე ეხლაც მოატყუილა მუშათა კლასი.

რას ეუბნებოდენ გერმანელი მენშევიკები თავის ქვეყნის მუშებს საბჭოთა კავშირის შესახებ? ყველაფერ ცუდს, და არავითარ კარგსა და სიმართლეს. მაგრამ საბჭოთა კავშირში მუშებმა თვით გაგზავნეს თავის დელეგაციები და გაიგეს სრული სიმართლე. მათ უკვე იციან, რომ საბჭოთა კავშირი მუშების და გლეხების სახელმწიფოა, რომ იქ ნამდვილად შენდება სოციალისტური წესწყობილება.

და აი ამ მხრივაც გამოამჟღავნეს გერმანელ მუშებმა სოციალ დემოკრატიის სიყალბე და საზიზღარი ცილისწამება, რომელსაც ის ავრცელებდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

ცხადია ყოველივე ამან საგრძნობლად-შეასუსტა გერმანიის სოციალ დემოკრატიის გავლენა ფართო მასაში და უკმაყოფილება შეიტანა თვით მის ქვედა ფენებში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგის წევრები დიდათ უკმაყოფილონი არიან თავისი პარტიის ზედაფენის საქციელით და დიდ სიმპატიას იჩენენ იქაური კომპარტიისადმი, რომლის ავტორიტეტი დიდათ გაიზარდა ამ ბოლო ხანებში მუშათა მოძრაობის გაძლიერების ნიადაგზე.

დღეს გერმანია კვლავ დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის. კვლავ ჩაღდება ომი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. სოციალ-დემოკრატია კვლავ მოღალატურად იქცევა. სამაგიეროთ პროლეტარიატი და კომპარტია მეტ ფხას, გამჭრიახობას და რევოლიუციონურ შეუდრეკლობას იჩენს. ამიტომაც არის, რომ სოციალ-დემოკრატიის რიგებს შეუდგა წყალი: მასში იზრდება ოპოზიცია და მისი ქვედაფენები სიმპატიის თვალით იცქირებიან კომპარტიისადმი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიას კვლავ იპყრობს კრიზისი, ვიმედოვნობთ, რომ გერმანიის კომპარტია და პროლეტარიატი ყოველგვარ ზომას იხმარენ, რომ ეს კრიზისი სასიკვდილო დარჩეს გერმანიის მენშევიზმისათვის. მაშინ გერმანიის ბურჟუაზიის დამარცხება ადვილი საქმე იქნება.

—ძ.

# ახალი რადიო ამბები

## დემონსტრაციები პროლეტარიატის ბელადების სახსოვრად.

როზა ლიუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის (გერმანელი კომუნისტური ბელადები, მოკლულ იქნენ სოც. დეკოკრ. აგენტების მიერ) გარდაცვალების 6 წლის თავსა ლენინის გარდაცვალების 2 წლის თავზე გერმანიის კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაციები საერთაშორისო პროლეტარიატის განსვენებულ ბელადების სახსოვრად.

დემონსტრაციებმა ყველგან დიდი ხალხი მიიზიდა.

## ამხ. კრასინი პარიზში.

18 იანვარს პარიზში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში კრასინი.

ამ დღეებში კრასინი გაემგზავრება ლონდონში.

## საბჭოთა კავშირში

### ამხ. სუელსი მოსკოვში.

მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის ტრედიუნიონების (პროფკავშირების) მთავარ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი სუელსი.

### საჩვენებელი გამოფენა გლეხთათვის.

ბაქოს ბაზრობის კომიტეტი ადგენს გეგმას, რათა ბაქოში მოაწყოს საჩვენებელი გამოფენა მსგავსად ნიჟეგოროდის ბაზრობისა, რომელზედაც გლეხობა უნდა გაეცნოს იწის დამუშავებას გაუმჯობესებულ საშუალებებით.

ასეთი გამოფენის მოწყობა განზრახულია ტფილისში მარტისთვის.

## სტიქიურ უბედურების შემდეგ.

### გურიის გლეხობის მდგომარეობა.

გასულ წელს აღმოსავლეთ გურიის მეურნეობას დიდი ზარალი მიადგა. სასტიკ ყინვებმა დააზარალა ბაღები და ხეხილები. ივნისის წყალდიდობამ დიდძალი სიმინდის ყანები გაანადგურა. მთელ რიგ სოფლებში სურსათის სიმცირეა.

გლეხობა მოითხოვს დახმარებას.

სამაზრო აღმასკომმა დაადგინა: სთხოვოს მთავრობას აკრძალულ იქნას გურიიდან სიმინდის გატანა; სთხოვოს მთავრობას სახსარი 200.000 ფუთი სიმინდის შესაძენად კოოპერაც. ორგანიზაციების საშუალებით და სხვა.

## ხუცების ჩხუბი.

საბჭოთა კავშირის სოფლებში—სოროჩინსა და ზუბოვკაში ძველი და ახალი ეკლესიების მომხრეებმა გამართეს მუშტი-კრივი, რომ დაემტკიცებიათ, თუ ვისი სარწმუნოება სჯობია. მაყურებლებად მათ მოიწვიეს გლეხობა. ხუცების ჩხუბი მხიარულ სიცილსა და სტვენას იწვევდა მაყურებლებში.

(დეპეშებიდან)



მამა სტეფანე: შენ ურჯულო, შენ ამბობ, რომ ახალი ეკლესია სჯობია? აბა გამობრძანდი, ისე დაგისივო ცხვირპირი, რომ შენმა ახალმა ღმერთმაც კი ვერ გიცნოს.

მამა ონოფრე: ლოცულობს: ღმერთო შენ გამიმარჯვე, რომ დაუმტკიცო ახალი ეკლესიის ძლიერება.

1926 წ. 22 იანვარს ქ. თბილისში მოწვეულია მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პირველი

**პარტკონფერენცია.**

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. 14 პარტყრილობის შედეგები,
2. არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება,
3. დივიზიის პოლიტგანის მოხსენება,
4. დივიზიის პარტკომისიის მოხსენება,
5. პარტიულ აღმშენებლობის საკითხები,
6. თანამოხსენება კომკავშირის მუშაობის შესახებ,
7. სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა,
8. სამხედრო აღმშენებლობა,
9. არჩევნები.

პარტკონფერენცია გაიხსნება დივიზიის ცენტრალური კლუბის შენობაში.

მეორე ქართულ მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილება.

# ამხ. ტროცკის მოხსენება მუშკორების თათბირზე.

### ჩვენი მდგომარეობა და ამოცანები.

13 იანვარს მოსკოვში, „რაბოჩაია გაზეტას“ (მუშური გაზეთი) მუშკორთა სრულიად საკავშირო თათბირზე მოხსენება გააკეთა ამხ. ტროცკიმ.

ამხ. ტროცკი ვრცლად შეეხო მუშათა კორესპონდენტის ამოცანებს ჩვენი აღმშენებლობის მორიგ ამოცანებთან დაკავშირებით.

**ვებრძოლოთ წერა-კითხვის უცოდინარობას. უცოდინარნი ვერ ააშენებენ სოციალიზმს.**

მომხსენებელი შეეხო წერა-კითხვის ცოდნის საქმეს ჩვენში და განაცხადა, რომ ჩვენში (მთელს კავშირში) 10 მილიონ კაცს არ შეუძლია გაზეთის კითხვა. სოციალიზმი, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, არის მაღალი ტეხნიკის ბატონობა. თუ წერა-კითხვის უცოდინართა ასეთი რაოდენობა იქნება ჩვენში, გაგვიჭირდება სოციალიზმის აშენება.

ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენ უსათუოდ უნდა ვასწავლოთ კითხვა უცოდინარებსა და ჩამორჩენილებს.

**ვებრძოლოთ ლოთობას, თორემ დავკარგავთ ოქტომბრის მონაპოვარს.**

მეორე მთავარი სენი ჩვენში, ეს არის სიბნელისა და გაუწვრთნელობის მემკვიდრეობა—ლოთობა. ალკოჰოლიზმის, ლოთობის წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ გმირული ბრძოლა. თუ ჩვენ არ ვიბრძოლებთ ლოთობის წინააღმდეგ, თუ ჩვენ არ მოვსპობთ მას, დაწყებული ქალაქიდან, წავაგებთ სოციალიზმს, ღვინოში ჩავახშობთ ოქტომბრის მონაპოვარს. უნდა გავაშუქოთ ეს ბოროტება, უნდა დავგმოთ ის. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ჩავაბათ მუშა ქალები.

**პროდუქციის ხარისხი.**

რა არის პროდუქციის ხარისხი? პროდუქციის ხარისხი ნიშნავს იმას, რომ რასაც შენ აკეთებ, უნდა გააკეთო კარგად, რადგანაც, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ შენ აკეთებ საზოგადოების საქმეს. მუშკორი უნდა იყოს კეთილ-სინდისიერი თავის წერაში: ის არ უნდა დაამყაროს ჭორებსა და ხმებს, მან არ უნდა მოიტყუოს. ხშირად გაზეთი სცრუობს. იბრძოლე ამის წინააღმდეგ.

ებრძოლე ტრაბახობასა და თავის ქებას: „ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია, ჩვენ უცხოელებს ვაჯობებთ, დავჩრდილავთ „ჩვენი ავტომობილებით, საფეიქრო ნაწარმოებით, მანქანებით და სხვა“. მუშკორმა უნდა ამხილოს ყალბი ცდები, როცა ხშირად ჩვენს დაბალ ხარისხის საქონელსაც კი აყენებენ ხარისხით ომამდე არსებულ საქონელზე მაღლა. ასეთი ტრაბახობა და საქციელი არის მუშების მოტყუილება. ჩვენ ვამზადებთ გაცილებით ცოტა საქონელს, ვინემ უცხოეთი. ეხლა ჩვენ ვაჭრობთ უცხოეთთან. თუ ჩვენ უცხოეთს ვერ დავეწევით, ის ჩვენ დაგვჯაბნის.

ჩვენ უნდა შევადაროთ ჩვენი მიღწევები არა ომამდე არსებულს, რომელიც დამყაყებული და ჩამორჩენილი იყო, არამედ საზღვარგარეთისას და ამ საზღვარგარეთის დონეს უნდა დავეწიოთ.

საქონლის ღირსება უნდა ავამაღლოთ ტეხნიკის გაუმჯობესებით. ამერიკაში ორმოცჯერ მეტი მანქანაა, ვინემ ჩვენში. აი რატომაა, რომ ამერიკის საქონლის ღირსება ჩვენს საქონელზე მაღლაა.

ამერიკა ააშენა კაპიტალისტებმა სრულიად უდაბურ ადგილზე. კიდევ უკეთესად ავაშენებთ ჩვენ, თავისუფალი ხალხი, ჩვენ ახალ ქვეყანას.

**მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ საზღვარგარეთელ მუშის ცხოვრებას.**

ჩვენმა მუშურმა გაზეთებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ყურადღება უცხოელ მუშის ცხოვრებისადმი. მუშათა კლასის მოწინავე პირები ყოველთვის იზრდებოდენ არა მარტო საკუთარ შინაურ პოლიტიკურ გამოცდილებაზე, არამედ მსოფლიო მუშათა კლასის გამოცდილებაზეც. ჩვენ უნდა შევისწავლოთ უცხოელი მუშის ცხოვრება და მსოფლიო რევოლიუციის პირობები საზღვარგარედ.

# წითელ არმიასა და ფლოტში.

## კარგად იციან საყარაულო სამსახური.

ლენინგრადის ოლქის მეოთხე ცხენ. დივიზიის საკავშირო ესკადრონის ახალწვეულ წითელ არმიელებმა პირველ დღეებშივე კარგად შეიგნეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყარაულო სამსახურის კარგად შესწავლას. ისინი ყურადღებით უსმენენ და გარკვევით არჩევენ მასალებს ამის შესახებ.

საქმისადმი ასეთმა მოპყრობამ გამოიღო სათანადო ნაყოფი.

წითელ არმიელმა ამხ. გორშენინმა, რომელიც პირველად დადგა საგუშაგოზე, შეამჩნია, რომ მისკენ მოდიოდა ესკადრონის მეთაური. ის არ დაიბნა და გააფრთხილა მისკენ მომავალი, მაგრამ უკანასკნელი მაინც განაგრძობდა სვლას. მაშინ გორშენინმა ხელმეორედ გააფრთხილა ის. ამის შემდეგ ესკადრონის მეთაური დაბრუნდა უკან.

მეორე დღეს ამოკითხვის დროს ამხ. გორშენინს გამოუცხადეს მადლობა თავისი მოვალეობის კარგად ცოდნისათვის.

## სუსტია მხოლოდ ერთი პროცენტი

ბელენინსკის წვევამდე მზადების წერტზე წვევამდელთა ცოდნის შემოწმების დროს აღმოჩნდა სუსტი მხოლოდ ერთი პროცენტი (100-ში—ერთი კაცი), 40 პროცენტმა კარგად უპასუხა, დანარჩენმა კი დამაკმაყოფილებლად.

მ. ტურავიჩი.

### ცვალებად შემადგენლობის პარტიულები დივიზიის პარტკონფერენციაზე.

მეორე დივიზიის პარტიულ კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ცვალებად შემადგენლობას პარტიულები.

# სამხედრო საქმე.

## რა საჭიროა ბარი

### ბარი მებრძოლის ერთგული მეგობარია.

თანამედროვე ომში ცეცხლი იმდენად ძლიერი და განმანადგურებელია, რომ უზარალოდ მტერზე მიახლოება შეუძლებელია. საჭირო შეიქნა ტყვიებისაგან თავის დაცვა. მაგრამ ისეთი ფარის გამოგონება, რომელიც თან ატარო და ტყვიებისაგან დაიცვა თავი, ჯერ ჯერობით შეუძლებელი გახდა.

მაშ, როგორ უნდა დავიცვათ თავი ტყვიისაგან? ჩვენ ვიცით რომ ტყვია ცივდება და ჩერდება მიწაში, საკმარისია მიწის თხელი ნაყარი, რომ ტყვიას გზა მოეჭრას, ასეთი ნაყარის გასაკეთებლად კი საჭიროა ბარი. ბარი აქვს თვითეულ მეომარს. ჩვენს არმიაში ორნაირი ბარია: პატარა, ქვეითის და დიდი, მესანგრეების.

გერმანელებთან წარსული ომის დასაწყისში რუსის ნაწილები ზედმეტ ბარგად სთვლიდენ ბარს და ხშირად სტოვებდენ ბრძოლის ველზე. მაგრამ პირველი ბრძოლების შემდეგ ბარს უკვე სიფრთხილით ეპყრობოდენ და იყო ნაწილები, სადაც ბარი თვითეულ მეომარს ჰქონდა თან.

მწარე გაკვეთილმა დაარწმუნა მეომრები, რომ ბარი მეტად საჭირო საგანია, რომელიც სიცოცხლეს უნარჩუნებს ხშირად მეომარს. ხოლო რაკი ეს ასეა, ის მეომრის ერთგული მეგობარი ყოფილა.

ბარს შეიძლება უწოდოთ იარაღი, ვინაიდან ის გვიმსუბუქებს ბრძოლის წარმოებას. მაშასადამე ის მეომრის განუყრელი კუთვნილებაა. ის მეომარი არაა, ვინც ბარს უყურებს როგორც ზედმეტ ბარგს, ვინაიდან ის ბრძოლის პირველ დღესვე მოინანიებს თავის შეცდომას.

მაშასადამე ბარი იცავს მეომრის სიცოცხლეს და აადვილებს ბრძოლის წარმოებას.

პ.

## რას ხედავს ჰაერიდან მოთვალთვალე.

სამხედრო ავიაციის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება მტრის ზურგის დაზვერვაა. მტრის ზურგში ღრმად გადახედვა, გაგება, თუ რას აკეთებს ის, სად და რა ძალებს აგროვებს, და შემდეგ ამ ცნობების მიწოდება უფროსზე—ყველა ამის გაკეთება შეუძლია ავიაციას. ამ ამოცანის შესასრულებლად იგზავნება განსაკუთრებული თვითმფრინავი, რომელიც ჩვეულებრივად ადის 1200—1500 მეტრის (22 ვერშოკი) სიმაღლეზე, რათა არაფერი ავნოს მტრის არტილერიამ. ამ სიმაღლიდან მფრინავი მოთვალთვალე კარგად ხედავს ყველაფერს, რაც კი მიწაზე კეთდება. ის ხედავს არა მარტო დიდ კალონებს, არამედ მეომართა ცალკე ჯგუფებსაც, ცალკე ზარბაზნებს, საბარგულეებს, გამაგრებულ პოზიციებს (ღია ადგილებში) და რამდენადაც ჰაერი გამჭვირვალეა, განსაკუთრებით ზამთარში მით უფრო ნათლად მოსჩანს ყველა საგნები. თუ რომ თვითმფრინავი დაეშვება რამოდენიმედ დაბლა, მისთვის შესამჩნევი ხდება ცალკე ადამიანებიც. მინდვრებსა და ტყეებს შორის გზები მოსჩანს ნათელ ზოლებად. ყოველგვარი მოძრაობა ამ გზებზე ჯარის ნაწილების, ცხენოსნების, ქვეითა ჯგუფების, საბარგულეებისა და სხვა ადვილი შესამჩნევია. იმის დამიხედვით, თუ რამდენად გამჭვირვალეა ჰაერი, თუ როგორ ძლიერია არტილერიის ან ტყვიამფრქვევის ცეცხლი, თუ რამდენად საჭიროა ახლოს იქნას გასინჯული ესა თუ ის საგანი ამისდა მიხედვით თვითმფრინავი დაეშვება ან აიწევს მაღლა.

მაგრამ ყველაფრის შემჩნევა და დამახსოვრება მეტად ძნელი ამოცანაა მფრინავისათვის. აი რატომ ხმარობენ ფოტოგრაფიულ აპარატს. ამ აპარატის საშუალებით გადაიხატება ჩვენთვის საინტერესო ადგილები. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად რომელიმე საგანი, მაგალითად თივის ბულული, სახლი (მისი სახურავი) და სხვა ასეთები, ისე ითქვიფებიან გარემოში, რომ ის შეუმჩნევი რჩება მოთვალთვალისთვის და არ გადადის აპარატზე. სამაგიეროდ ჩრდილი ამ საგნიდან კარგად გადააქვს აპარატს. ამ ჩრდილის გარეგანი მოხაზულობის მიხედვით შეიძლება გაგება თუ რა საგანს ეკუთვნის ის, გარდა ჩრდილისა ნახატზე სწორად გადადის საგნების მოხაზულობა, მაგალითად, სანგრების, ბანაკებისა და სხვა. ჩრდილის ფორმისა და საგნების მოხაზულობის მიხედვით ადვილი გასაგებია ესა თუ ის უბანი დაწვრილებით.

ამრიგად ჰაერიდან მოთვალთვალეს ფოტოგრაფიული ხელსაწყოს საშუალებით შეუძლია გამოარკვიოს ყველაფერი, რაც მას აინტერესებს. აქედან ცხადია, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შენიღბვას; ე. ი. უნდა შეგვეძლოს არა მარტო ჰაერიდან მოთვალთვალისაგან მოქმედების დაფარვა (მოძრაობის, მოთავსების), არამედ მოატყუილო მტერი და უჩვენო მას არა ის, რაც ჩვენ გვაქვს, არამედ ის, რაშიაც მისი დაჯერებაც ჩვენთვის ხელსაყრელია, მაგ. უნდა გავაკეთოთ—ყრუ, ყალბი სანგრები, ბატარეა, ტყვიამფრქვევი და სხვა.

პ.

# სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი მე-14-ე პარტყრილობაზე.

(დასასრული იხ. №12 (1007) ში).

ეხლა ავიღოთ სახელმწიფო ბანკი. რას ემსახურება დღეს სახელმწიფო ბანკი? მის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს ნაციონალიზაციაქმნილ მრეწველობის გაძლიერება დაკოოპერატიულად შეკავშირებულ უღარიბეს გლეხობის დახმარება, ამ უკანასკნელთა ტეხნიკურ იარაღების გაუმჯობესებით უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა და მათი მეურნეობის კოლექტიურად მოწყობა. პირველსაც და მეორესაც ახასიათებს სახელმწიფო მრეწველობასთან უმჭიდროესი კავშირი, მას ჩვენ უწოდეთ ამ მრეწველობის ხერხემალი.

მაგრამ შესაძლებელია ასე დაისვას კითხვა, რომ თვით სახელმწიფო მრეწველობა წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმს, მაშინ რათქმა უნდა სოკოლნიკოვიც და სხვებიც ოპოზიციიდან მართალი იქნებიან.

ცალკე განცხადებები, რომელიც ხდებოდა ოპოზიციიდან სხვა და სხვა დროს, სწორედ ამ აზრის ლოღიკურ დასკვნას წარმოადგენენ. მაგალითად ჯერ კიდევ მე-14—ყრილობის წინ ამხ. კამენევი ერთ-ერთ სიტყვაში მოითხოვდა მუშათა კლასის სახელმწიფოსთან დაახლოების მიზნით, მოგების განაწილებას მუშათა შორის.

ამ წერილის თავში ჩვენ მოკლედ გავეცანით სახელმწიფო კაპიტალიზმის ბუნებას. განა ეს მცნება შეიძლება მივაწეროთ ჩვენს მრეწველობას? ვინც ასე ფიქრობს ის ძლიერ შემცდარია. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა წარმოადგენს საფუძველს, რომელზედაც შენდება სოციალიზმი. ჯერ კიდევ მას უხდება ისეთ მდგომარეობაში განვითარება, რომელიც ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს ჯერ ჩვენს მეურნეობას სოციალისტური ვუწოდოთ. საქონლის გაცვლა გამოცვლა, ფულის ტრიალი განაწილებაში, ბაზრის წესები და სხვა, ეს ხდება იმიტომ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს სოციალისტური ელემენტი სოციალიზმის შენებაში დამბამარეთ იყენებს კაპიტალისტურ ელემენტს და აქედან თავისთავად ეს ურთიერთობა სწარმოებს კაპიტალისტურ ფორმებში.

მაგრამ უმთავრესი განმასხვავებელი თვისება კაპიტალიზმის, ეს დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია, განა ახასიათებს ჩვენს სახელმწიფო ნაციონალიზაცია ქმნილ მრეწველობას? არა. რისთვის მუშაობს ეს უკანასკნელი? სოციალიზმისათვის. ის არის ელემენტი, რომელიც უნდა გაიზარდოს ეკონომიურად, დაიმორჩილოს მთელი სახალხო მეურნეობა, მოსპოს კაპიტალისტური ფორმები მეურნეობის ყველა საფეხურებში და მაშინ ჩვენ გვექნება სოციალისტური მეურნეობა. მთავარი საკითხი ეწევა თუ არა სახელმწიფო მრეწველობა დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციას, ამით თავის თავად წყდება. მუშათა კლასის გაყვლეფაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მუშის მიერ ზედმეტ დროში შექმნილი ღირებულება მიდის ცალკე პირთა გასამდიდრებლად. სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს მოგებას ინაწილებენ კაპიტალისტები და ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც აკანონებს ბურჟუა-კაპიტალისტების როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ბატონობას. საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენი მრეწველობის მოგება მიდის ჯერ თვითმრეწველობის გასაძლიერებლად, რომ უმუშევართა მეტი რიცხვი ჩაებას წარმოებაში, მეორეც, თვით მუშათა კლასის ყოფა—ცხოვრების გასაუმჯობესებლად (დასასვენებელი სახლები, ბინები, ხელფასის მომატება და სხვა). ერთი სიტყვით მრეწველობის მოგება აძლიერებს სოციალისტურ ძალებს და აუმჯობესებს მუშათა კლასის მდგომარეობას, ის ემსახურება მუშათა კლასს და სოფლის მშრომელთა ფენებს.

ამიტომ ჩვენი მრეწველობის სახელმწიფო კაპიტალიზმად გამოცხადების უბრალო ცდაც კი წარმოადგენს უდიდეს დანაშაულს მუშათა კლასის და ოქტომბრის რევოლიუციის წინაშე. მუშათა კლასის დიქტატურა, ოქტომბრის რევოლიუცია, ვისაც ვერ გაუგია ცხოვლოდ მას შეუძლია ასეთი სიყალბის გავრცელება. სხვათა შორის ჩვენი მტრები ამ წერტილს დიდი ხანია უმიზნებენ, მაგრამ ამაოთ.

ადამაძე.

85
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## დასვენების დღე.

მეთაურთა სკოლა.

ჩვენს სკოლაში კვირა დღის გარდა დასვენების საათები არ მოიპოვებიან.

ამ დასვენების დღეს კი კურსანტები თავისუფლად მეცადინეობენ.

17 იანვარს სუსხიანი დილა იყო. შუადღისაკენ დაქანებულმა მზემ სიცხოველე მოიკრიბა და მეთაურთა სკოლის მიდამოები ხალისით აავსო!..

ფეხბურთის მოთამაშე ახალგაზრდობა მინდორზე გამოიშალენ...

კურსანტები ერთმანეთს ეჯიბრებიან ფეხბურთში...

ფიზკულტურის ხელმძღვანელი ამხ. იოსავა ხალისიანათ და უზრუნველათ ეხმარება კურსანტებს.

კურსანტებისაკენ მიდის ფეხბურთელთა კრებული, მათ „ვაკე-სბორნაიას" ეძახიან.

ეს ვაკეზე ქცხოვრები ახალგაზრდობაა. ისინი ცდილობენ დაუახლოვდენ კურსანტებს, შეეჯიბრონ კიდეც.

სხვებთან შეჯიბრების დროს კურსანტებს მეტი სიმარდე ეტყობათ!..

სკოლის ეზოში ერთი ჯგუფი ბადროს ტყორცნაზე ვარჯიშობს!..

ექსკურსანტებიც მიჰყავთ ხელმძღვანელებს: სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, რევოლიუციის მუზეუმში და სხვაგან.

— დღეისწორს ზაჰესში უნდა წავიდეთ!—ამბობენ წითელარმიელები.

კლუბში მესამე ასეულის კურსანტები რეპეტიციას გადიან. ამზადებენ კურსანტი ხინთიბიძის პიესას...

აქტივისტთა ერთი ჯგუფი ლაბორატორიაში ლენინის საღამოსთვის ემზადება...

იჩქარიან. შევბულებაში უნდა წავიდეთო...

წითელ კუთხეებში კურსანტები „გამორჩენილ" გაზეთებს კითხულობენ.

თან სწუხან, რომ ახალი გაზეთების მოტანა შეგვიანდა.

— შვებულებაში წასვლამდე გვინდოდა წაგვეკითხაო...

ასე ტარდება დასასვენებელი დღე ჩვენთან.

სამხკორი ჩვენი.

## ჩვენს კლუბში გლეხებიც დადიან.

მე-3 ლეგიონი.

მესამე ლეგიონს აქვს საკუთარი კლუბი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც მოეწყო და მას შემდეგ სისწორით ემსახურება თავის დანიშნულებას. კლუბში ყოველ შაბათობით სურათები წარმოდგენები და სხვა გასართობები, რომელსაც წითელ არმიელთა გარდა ყოველთვის ესწრება მრავალი გლეხობა. ისინი წითელ არმიელებთან ერთად უსმენენ საუბრებს, ლექციებს და ეცნობიან მრავალ საჭირ-ბოროტო საკითხებს.

ამ გარემოებას საჭიროა კიდევ მეტი ყურადღებით მოეპყრან და წახალისებული იქნენ გლეხები.

იმედია კლუბის გამგეობა გამონახავს ამისთვის კიდევ უფრო კარგ საშვალებებს.

სამხკორი ხუშტარა.

## მოკლე ვადიან შვებულების შემდეგ.

სამხედრო პოლიტსკოლა.

იანვრის პირველს კურსანტების ერთი ნაწილი გაემგზავრა მოკლე ვადიან შვებულებაში, ნაწილი—სანადიროთ აზერბეიჯანში.

15 იანვარს დაბრუნდნენ კურსანტები და შეუდგნენ მეცადინეობას.

მიძინებული სკოლის შენობა გამოცოცხლდა.

ახლოვდება გამოშვების დრო. მეცადინეობა მიმდინარეობს გაცხოველებით.

საგნები აუარებელია. კურსანტები ისე არიან დატვირთულნი სხვა და სხვა დავალებებით, რომ დრო არა ჰყოფნით.

ერთი დიდი დაბრკოლება ელობებათ წინ: ეს არის საჭირო სახელმძღვანელო წიგნების უქონლობა სხვა და სხვა დარგში, რუსულად ბლომად არის წიგნები, მაგრამ კურსანტების 80 პროც. არ იცის რუსული ენა.

ხელმძღვანელი და ლექტორები, რომ შეუმსუბუქონ კურსანტებს საგნების შეთვისება არ ზოგავენ ძალას და ღონეს და ნაწილობრივ აღწევენ კიდეც მიზანს.

მხოლოდ საჭიროა, რომ ეხლავე მიღებულ იქნეს ზომები ქართულ ენაზე სხვა და სხვა სახელმძღვანელოების გამოცემისათვის როგორიც არის: მეთოდიკა, ქრესტომატიები და სხვა.

---

საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობა სკოლაში შესაფერ დონეზეა დაყენებულია საწრეო მუშაობა ჩამოყალიბებული, და მიმდინარეობს ნორმალურად, ხელმძღვანელებიც საკმაოდ არიან.

კლუბის შენობა საუცხოვოდ არის მოწყობილი. შეძენილია ახალი სკამები, დეკორაციები.

ბიბლიოთეკის შენობა საკმაოდ კარგად არის მოწყობილი. თვით ბიბლიოთეკა ივსება ახალ გამოცემებით როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

ი—ა.

## საქმიანი კრება.

ცხენ. ლეგიონი.

16 იანვარს მოხდა ლეგიონის გაერთიანებული კრება. მოხსენება გააკეთა სამხ. პროკურორის თანაშემწემ კანონთა მნიშვნელობაზე. საბჭოთა კავშირში საიდან გამომდინარეობს კანონი და ვინ ღებულობს მონაწილეობას ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მის ჩამოყალიბებაში.

ამასთან ერთად გვეწვია სამხედრო-საკონსულტაციო ბიურო მთელი შემადგენლობით, რომელმაც მოგვცა მრავალი რჩევა-დარიგება.

კარგი იქნება თუ ხშირად გამართავენ საუბარს კანონების შესახებ.

შემდეგ კოოპერატივ „მებრძოლი"-ს გამგეობის წევრმა ამხ. ვახტანგაძემ, გაგვაცნო კოოპერატივის მუშაობა და თუ როგორ შეუძლია ისარგებლოს წითელარმიელებმა ამ კოოპერატივით ეხლა და უვადო შვებულებაში წასვლისას, თუ კი ის იქნება წევრი. თითქმის ყველა წითელარმიელებმა გამოსთქვეს სურვილი წევრად გახდომის.

შემდეგ მოხდა კოოპ. ბიუროს გადახალისება. ძველი გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა და უსურვებთ ახალ გამგეობას, რომ კიდევ უფრო ენერგიულად მოეკიდოთ ხელი მუშაობისათვის.

დასასრულ ავიოქიმის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. იოსავამ გაგვაცნო მოკლედ წრის მუშაობა და მოითხოვდა არჩეული ყოფილიყო 10 წითელარმიელი ავიოქიმის კონფერენციაზე გასაგზავნად.

სამხკორი ა. ბაშელი.

## მეტი ყურადღება ამიერკავკასიის შესწავლას.

გასული წლის უკანასკნელ თვეებიდან ყველა სამხედრო ნაწილებში ტარდებოდა საგიტაციო კომპანიები „ამიერკავკასიის შესწავლისათვის". ამის ირგვლივ გაზ. „წითელ არმიელმაც" კი მოათავსა წერილები თვალსაჩინო ადგილას, სადაც მკაფიოთ და ხაზგასმით იყო აღნიშნული—თუ რისთვის არის საჭირო „ამიერკავკასიის შესწავლა" როგორც პოლიტიკურ—ეკონომიურათ, ისე ისტორიულადაც.

ყველაფერ ამას ზედ დაერთო პოლიტგანყოფილების მიერ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა ამ მხრივ და ცენტრალურ კლუბში დაიწყო სისტემატიურათ ლექციების კითხვა. ლექტორათ მოწვეულია ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი დოცენტი, ლეონ მელიქსეთბეგი. ლექციები ყოველკვირეულათ იკითხება ოთხშაბათობით და აგრეთვე ყოველ ლექციის შესახებ მოდის აგიტპროპ ნაწილიდან მოსაწვევი ტელეფონოგრამები. მიუხედავათ ამისა, ლექციებს მხოლოთ 7 თუ 8 კაცი ესწრება და ისიც, უმრავლესობა არასისტემატიურათ. სირცხვილია ჩვენ მეთაურთა და მით უფრო პოლიტშემადგენლობისათვის ასეთი გულგრილობის გამოჩენა. ჩვენ „ამიერკავკასიის შემსწავლელთა" წრეების შექმნისაკენაც კი მოგვიწოდებდენ და ეს მოწოდება დღესაც ძალაშია და არ ვიცი, რომელი პოლიტმუშაკი შესძლებს ასეთი წრის მოწყობას თავის ნაწილში, როცა თითონ ჩვენ ძალიან სუსტი ცოდნა გვაქვს ამაზე...

ასეთ შინაარსიან და აკადემიურ ლექციებს არა თუ უფ-პოლიტშემადგენლობა უნდა ესწრებოდეს, არამედ, კარგი იქნება—ნაწილის უფროსები ყურადღებით მოეკიდებოდენ მას და თავიანთ სკოლებიდანაც დაასწრებდენ წ.-არმიელებსა და კურსანტებს...

საჭიროა, ვიმეორებ, ყურადღებით მოპყრობა ვისგანაც ჯერ არს, რომ ყველა ნაწილებიდან უფ-პოლიტშემადგენლობა მაინც სისტემატიურათ დაესწროს ამ ლექციებსა და ის მათთვის მართლაც სავალდებულო გახდეს.

ეს ძალიან დიდ და ახალ ცოდნას შესძენს ჩვენს თანამშრომლებს. მით უფრო, რომ ლექტორი დიდი ხალისითა და დაუზარებლობით ეკიდება თავის საქმეს.

გრ. შავგულიძე.

## ხშირად ასეთი საღამოები.

2-რე ლეგ. 7-დე ასეული.

7 იანვარს ლეგიონის ხსენებულ ასეულში გაიმართა საღამო-წარმოდგენა მსახიობ ლ. გვიშიანის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. საღამო უმთავრესად წითელ არმიელების ძალებით იქნა ჩატარებული. ლეგიონის შემადგენლობის გარდა მას კერძო მოქალაქენიც მრავლად დაესწრენ.

ჩვენს ასეულში ხშირად იდგმება საღამო-წარმოდგენები, მაგრამ ამ დღეს გამართული საღამო იშვიათი იყო თავისი შინაარსით. პირველად წარმოთქმული იქნა შესაფერი სიტყვა, რასაც თან მოყვა რევოლიუციონური შინაარსის პიესები და ვოდევილი.

დასასრულ გამართულ დივერტისმენტში კი წითელ არმიელებიც გამოვიდენ თავისი საკუთარი ლექსებით.

კარგი იქნება ხშირად გაიმართებოდეს ასეთი ხასიათის საღამოები, რომელიც იშვიათი შთაბეჭდილებით თავდება ყოველთვის.

სამხკორი ივ. ა—ა.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ვაცნობთ საბჭოთა არჩევნების წესებს.

3 ე ლეგიონი.

ამას წინად მოხდა ლეგიონის მეთერთმეტე კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც უპარტიო ამხანაგებიც მრავლად დაესწრენ.

კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება მომავალი საბჭოთა არჩევნების შესახებ. განმარტებული იქნა არჩევნების წესი, ვის აქვს უფლება იყოს არჩეული და ვინ ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში, რად არ ეძლევათ არა მშრომელ ელემენტებს, ვაჭრებს და კულაკებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და სხვა. მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

დასასრულ კრებამ განიხილა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები, მაგრამ ვინაიდან განცხადებებში არ იყო დაცული ყველა პირობები, დროებით გადადებული იქნა ეს საკითხი.

სამხკორი მხედარი.

## განვამტკიცებთ დისციპლინას.

ცხენოსანი ლეგიონი.

14 იანვარს ცხენოსან ლეგიონში მოწვეული იქნა ახკომკავშირის ყველა ჯგუფებისა და უპარტიო ამხანაგების გაერთიანებული კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება ამიერ კავკასიის პარტიული ყრილობის შედეგების შესახებ.

შემდეგ კრებაზე დასმული იქნა საკითხი კავშირის წევრებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ერთხმად იქნა დადგენილი, რათა შეყენებული იქნას იმ ამხანაგების სია, რომლებიც სისტემატიურად იგვიანებენ კრებებზე და გადაეცეს ბიურ კოლექტივს შესაფერი ზომების მისაღებათ.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი

## ჩვენი რიგები შეივსო ახალი მეთაურებით.

მე-3 ლეგიონი.

უკვე დამთავრდა მე-3 ლეგ. უმცროს მეთაურთა სკოლის გამოცდები და პირველად ევლინება ლეგიონს თავის სკოლაში გამოზრდილი უმცროსი მეთაურები.

ლეგსკოლას აქვს 8 თვის არსებობის ისტორია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ლეგსკოლის მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა, რადგანაც თვით ლეგიონი შედარებით, ახალგაზრდაა და ერთბაშად არ შეეძლო უზრუნველეყო ყოველ მხრით თავისი სკოლა.

სკოლა დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა საჭირო ნივთების მხრივ, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სკოლისათვის.

პირველ ხანებში სკოლაში არ იყო სისტემატიური მეცადინეობა. ასეთი სწარმოებდა სულ 4 თვე. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ლეგსკოლამ შესძლო თავის ამოცანების შესრულება და გამოუზარდა ლეგიონს უმცროს მეთაურების საუკეთესო კადრი, რითაც ამაყობს დღეს ჩვენი ლეგიონი. გამოცდები გაგრძელდა 10 დღე და კომისია დიდათ კმაყოფილი დარჩა კურსანტების ცოდნით.

გამოცდების შემდეგ გაიმართა საზეიმო საღამო, უმცროს მეთაურთა პირველი გამოშვების აღსანიშნავად.

ვუსურვებთ მეთაურების პირველ კადრს შესაფერი ენერგია გამოეჩინოთ თავისი მოვალეობის შესრულებაში.

სამხკორი ნ. კალანდაძე.

## წვევამდე მზადების შედეგები.

### გამოცდები კარგად დამთავრდა.

6-ხე ლეგ. 3-მე ათასეული.

15 იანვარს დამთავრდა ჩვენი ათასეულის ყველა წერტებზე წვევამდელებთან მეცადინეობა. ჩატარებულ გამოცდებმა აშკარა თვალსაჩინოთ გახადა ჩვენი მიღწევები. 30 დღის განმავლობაში ათასეულმა შესძლო სულ 410 კაცის სამხედრო-პოლიტიკურად და კულტურულად გაწვრთნა. ათასეულის ყველა წერტების შემადგენლობამ მტკიცედ შეითვისეს ყველაფერი.

ეს მით უფრო შესამჩნევი ხდება, თუ მხედველობიდან არ გაუშვებთ იმ გარემოებას, რომ პირველად წერტებზე თავის შეყრის დროს, მათ ვერ შეხვდებოდით სამკითხველოში, ეზარებოდათ გაზეთების კითხვა, ხოლო ვინც წერა—კითხვის უცოდინარები იყვნენ, ვერ უხსენებდით სალიკვიდაციო სკოლების სახელს. ყველა ეს დაძლეული იქნა პოლიტმომუშავეების ენერგიული მოქმედებით და მათი აგიტაციით.

წერა—კითხვის უცოდინარი—წერტებზე მყოფი ყველა ამხანაგები შესული არიან ამ ჟამად სალიკვიდაციო სკოლებში. გაზეთებითაც ძლიერ დაინტერესდენ. გამოიწერეს გაზეთი „წითელ არმიელი" თავისთვის, სოფლებისათვის და სხვა.

სამხედრო საქმის შეთვისება დამაკმაყოფილებელია.

დ. ჭანკვეტაძე.

## სამხედრო კუთხე

### ფსევდონიმების შესახებ.

ზოგიერთი სამხედრო დასწერს კორესპონდენციას და ბოლოს მოაწერს რომელიმე ფსევდონიმს. ჩვენ ფსევდონიმის წინააღმდეგი არა ვართ. მხოლოდ ისეთი ფსევდონიმები, რომლებიც მარტო სახუმაროდვარგა, გაზეთისათვის ამ გამოდგება. მაგალითად სამხედროებისაგან ჩვენ ვღებულობთ კორესპონდენციებს შემდეგი ფსევდონიმებით: „ბიჭი ვარ და ქუდი მხურავს", „ძმა—ბიჭი", „მატარებელი № 7, № 8" და სხვა, „სამნეო კუბო", „ნაწყენი", „გულდამდულრული" და სხვა მრავალი. ჩვენი გაზეთის წამკითხავი და თვით ამ ფსევდონიმის დამწერიც ვფიქრობ ეხლა მიხვდებიან, რომ ასეთი ფსევდონიმები არაფრად არ ვარგა.

გარდა ამისა არიან ისეთი სამხედროებიც, რომლებიც ფსევდონიმად ხმარობენ ბლბად თავიანთ გულის სატრფოების სახელებს, როგორიც არის: „ქ ენია", თინა", „ვარო" და სხვ.

ზოგიერთი სამხედრო თავის კორესპონდენციაზე გვარს შებრუნებულად აწერს; „ეძიბუცუნ" და სხვა. ზოგიერთ სამხედროს კი ძლიერ უყვარს ყოველ კორესპონდენციაზე ახალ-ახალი ფსევდონიმების მოწერა, ამ უკანასკნელებს პირდაპირ გართულება შეაქვთ ჩვენი რედაქციის მუშაობაში. პირდაპირ შეუძლებელი ხდება გაგება, ამ ახალი ფსევდონიმის დამწერის სახელის და გვარის. გამოდის ხშირად, რომ ერთ სამხედროს ოცამდე ფსევდონიმი აქვს.

მომავალში, სამხედროებმა უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდონ ფსევდონიმის ხმარებას და ყოველ კორესპონდენციებს მოაწერონ სახელი და გვარები და იქვე ისეთი ფსევდონიმი, რომელიც სავსებით შეეფერება სერიოზულ მუშაკს, როგორიც არის სამხედრო. ფსევდონიმებით მასხრობა დაუშვებელია.

მი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"

## ახალი ამბები.

— **ხიდი ზაჰესისათვის.** ზაჰესკომმა დაავალა საზოგადოება „გომზა"-ს მცხეთაში ზაჰესის საჭიროებისათვის ახალი ხიდის აგება.

— **წყალტუბოში მუშებისათვის** დასასვენებელ სახლის ასაგებათ სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასდო 43.315 მანეთი.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** დეკემბრის განმავლობაში დახმარების სახით დაურიგდათ 90.166 მანეთი.

— **ამიერ-კავკასიის უმაღლესმა** ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა გაადიდოს ამიერ-კავკასიის ნედლეულის მომხ. საზოგადოების ძირითადი თანხა.

— **მთავარ გამაწორებელ** სახლთან აბანოს შენობის შესაკეთებლად ტფ. აღმასკომმა გადასდო 5.000 მანეთი.

— **სატყეო მრეწველობის** ტრესტმა გადასწყვიტა გააძლიეროს სატყეო მრეწველობა ტყიბულის რაიონში.

**ხელოვნება.**

— **კამერულ თეატრში.** დღეს გაიმართება მხიარული წარმოდგენა-საღამო გ. ვრონსკის მონაწილეობით.

— **„ფერადი მოთხრობები".** გამოვიდა და იყიდება ჯ. ჯორჯაკიას მოთხრობათა წიგნი „ფერადი მოთხრობები".

— **ალ. მაისურაძის** მომღერალთა გუნდმა დაიწყო ახალი მოწაფეების მიღება. გუნდში ქალ-ვაჟთა ჩაწერა სწარმოებს კვირაობით.

## ვინ იქნება შემდეგი?

ამხ. პ. კახიძის გამოწვევის თანახმად, ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს" სამი თვით გორის მაზრის სოფელ სამთავისის კომუნისათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ცხენოსანი ლეგიონიდან:

ეკ. მამულაშვილს და ბარბაქაძეს; ეკ. თანაშემწეებს: სიმონიშვილს, კოპლატაძეს, არზიანს, მეკრელაძეს და მელაძე ბოხალოს. საქმის მწარმოებელს აბრამიშვილს და ქიმნაწილის გამგეს გარსევანიშვილს.

ცხენ. ლეგ. ესკთავი **გ. ჩიჩუა.**

**ვიწერ** გაზეთ „წითელ არმიელს" ოზურგეთის მაზრის სოფელ ხოდისათვის ქოხსამკითხველოსთვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1) სანდრო ციტაშვილს (2-რე ესკ. ზემდეგი), 2) მიხეილ მაისურაძეს, ერევანდ არუთინოვს, ტუხა ჯაფარიძეს, ბ. ბურჯანაძეს, ილია რუსიას, მასეშვილს, ელიზბარ კალანდაძეს, ერმილე კალანდაძეს და თედორე ვ. კალანდაძეს.

წ. არმ. **გიორგი კალანდაძე.**

**თანახმად ამხ. ხიტირის** გამოწვევისა ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს" სამი თვით ლანირ ქვიტირის სამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მეორე ლეგიონიდან: მეთ. ციცხვაიას და წილოსანს.

4 ხე ლეგიონიდან ლეგ. სკოლის უფროს ანთელავას, ოცმეთაურებს: ა. მიქაძეს, ბ. მენაღარიშვილს და ქაჯაიას.

5-თე ლეგიონიდან—ოცმეთაურს ნ. ჩაჩანიძეს.

მეთაური **კლ მენტი რუსაძე.**

## პასუხი შეკითხვებზე.

**ილიკოს.** თანახმად სამოქალაქო კოდექსის 429 მუხ. მამას შეუძლია ქონება გადასცეს ანდერძით ერთ-ერთ მემკვიდრეს.

**კავშ. წევ. № 84.** გერგებათ ორი კვირის სალიკვიდაციო. გამორიცხვის ნება არა აქვთ. ოჯახის დახმარებისთვის მიმართეთ კავშირს და დამზღვევ სალაროს.

**ჯიჯეიშვილს.** მიმართეთ საკითხის გამოსარკვევად თქვენს უფროსს.

**ნიკოლაიშვილს.** თქვენ, როგორც სტუდენტს, გეძლევათ უპირატესობა და უნდა მიმართოთ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.

**შაქროს.** პოლიტხელი უნდა მოქმედებდეს შეთანხმებით ყოველივე საკითხში ასეულის თავთან.

**რობაქიძეს.** შვებულება გერგებათ საერთო წესით და უნდა მიმართოთ ოჯახური მდგომარეობის გამო ლეგთავს.

**გოგიას.** მიმართეთ ნაწილის ექიმს.

**მ. ფ.** თანამდებობის მიხედვით მოგეცემათ ჯამაგირი და ტანისამოსი საერთო წესით.

**კაპარავას.** უფასო საექიმო დახმარება მოგეცემათ.

**ბლიაძეს.** მიეცით პატაკი უფროსს კვლევა-ძიების მოსახდენათ დაკარგულ ნივთების შესახებ.

**მასვე.** მოახსენეთ უფროსს და ის გასცემს სათანადო განკარგულებას, რომ მიიღოს მეკუჭნავემ უვარგისი ბალიშის პირი.

**ლ. ბ—ძეს.** ჯამაგირი გეკუთვნით თანამდებობის მიხედვით.

**ბუშურიშვილს.** ოჯახის დახმარებისთვის მიმართეთ აღმასკომს თქვენი უფროსის საშუალებით.

**ვ. ნ.** თქვენ როგორც ვალდებულს არ მოგეცემათ ათი თვის ჯამაგირი.

**ბერძენიშვილს.** მიწის გაყიდვის უფლება არა გაქვთ. შეგიძლიათ მფლობელობის უფლება გადასცეთ, ისიც აღმასკომის ნებართვით.

**უმცროს მეთაურებს.** ჩვენი გაზ. № 11-ში მოთავსებული ცნობა, რომ უმცროსს მეთაურებს ეძლევათ საოჯახო ულუფა არ არის სწორი. თანახმად ახლად მიღებულ ბრძანებისა უმცროს მეთაურებსაც ესპობათ საოჯახო ულუფა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ლეგიონის 4 ხე ასეულის უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ ამხ. ბორის მალირკინს (უპარტიო წითელ არმიელი. თხოულობს პარტიის კანდიდატად დამტკიცებას) და პარტიის კანდიდატ გიორგი ლითანიშვილს (თხოულობს პარტიის წევრად დამტკიცებას).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ლეგიონის 4 ხე ასეულის კომუჯრედში.

უჯრედის მდივანი **ვაშაკიძე.**

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. ი. სიაშვილს** თქვენი წერილი „ერწოს რაიონის შესახებ" გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის" რედაქციას.

**ამხ. ამხ. წვევამდელებს: ჩხიკვიშვილს, ჯაფარიძეს და გუგუშვილს** თქვენი კორესპონდენცია „სამოსწავლო დროის დეფექტებსა და მიღწევებზე" არ დაიბეჭდება, რადგან შიგ არსებითად არაფერია ნათქვამი.

**ამხ. ცეცხლს** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი „1-ლ ლეგ. 8—ასეული" გადაეგზავნა ლეგიონის თავს და სამხკომს საქმის გამოსარკვევად.

**ამხ. მ. თ—შვილს** თქვენ მიერ გამოგზავნილი რებუსი თქვენ არ გეკუთვნით. ის მოთავსებული იყო ჩვენს გაზეთში გასულ წლის ლენინის გარდაცვალების წლის თავზე. სხვისი ნაწარმოების თავისად გასაღება უმსგავსო და თანაც არა ლამაზი საქციელია.

**ამხ. სამს. ბანძელაძეს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი გადაეგზავნა ლეგიონის სამხკომს.

**ამხ. ამხ. ს. მათიაშვილს, ალგზნებულს, ჩამორჩენილს და ელიზბარიშვილს** თქვენი ლექსები „წითელ—მხედარს", „მუშებს", „საგუშაგოზე", „ამომავალი მზე" და „მუშა" არ დაიბეჭდება. ლექსები გამოდგება ადგ. კედლის გაზეთში.

**ამხ. მორიელს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი კლუბზე უსაფუძლოა. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ბიკაშვილს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „არც ჩვენ ვრჩებით უკან" არ გავა. აქ იმის მეტი არაფერია ნათქვამი თუ ვინ იყო თავმჯდომარედ, მდივნად და როდის გაიხსნა და დაიხურა კრება. ეცადეთ სწეროთ უფრო არსებითად და კონკრეტიულად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

**ამხ. გელაშვილს.** თქვენი წერილი წერტზე—დაგვიანებულია.


## რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


## 1905 წელი

### პირად მოგონებიდან

(გაგრძელება)

ამ დროს მაღლა სართულში პარტიის ბელადები თათბირობდენ შექმნილ მდგომარეობაზე და კავშირს იჭერენ გუბერნატორ სტაროსელსკისთან, რომლის განკარგულებით ჩვენს დასახმარებლათ უნდა მოსულიყო სტრაჟნიკთა მთელი შემადგენლობა და ამავე დროს რაც ზედმეტი ბერდანები ჰქონდათ სტრაჟნიკებს საწყობში ჩვენთვის უნდა გადმოეცათ.

როგორც კი გავიგეთ ეს, იმ წამსვე გავექანეთ სტრაჟნიკების ბინისკენ, სტრაჟნიკებიც გამოვიდენ და მთელი ზედმეტი ბერდანები თავის პატრონებით გადმოგვცეს ჩვენ. სტრაჟნიკები უკვე ჩვენს განკარგულებაში იყო ერთად წამოვედით და ჩავჯექით ბარიკადებში. ცოტა სროლა მიწყნარდა. მაგრამ კანტი-კუნტათ მაინც ისმოდა ტყვიების ზუზუნი. რამოდენიმე ამხანაგმა განვიზრახეთ ბალახვანის ქუჩით წასვლა, საიდგანაც ყაზახები ისროდენ ჩვენზედ. წინ წავიდა სტუდენტი პეტროვი (შემდეგში პროვოკატორი აღმოჩნდა) და მასთან მგონი იყო ნიკო ალფაიძე (თამბაქოს ფაბრიკის მუშა), უკან მეორე მხრით მივდიოდით პროკადოლიძე, ილიკო ჰაჭაშვილი მე და კიდევ იყო ორი სხვა, რომლის გვარებიც აღარ მახსოვს. ცოტა რომ გავშორდით ბალახვანის ქუჩის დასაწყისის გადასახვევს, უცაბედათ გავარდა რამოდენიმე თოფი. გასროლის ხმაზედ ვიცანით, რომ ვინტოვკის ხმა იყო, იმ წუთშივე წავწევით და ჩვენც დავიწყეთ სროლა. ჩვენს სროლას გამოეხმაურა სხვა კუთხეებიც და მართლაც ისეთი სროლა ატყდა, რომ დიდ ომს მოაგონებდათ. ამ დროს მოგვესმა ხმა „პომოგი"—(მომეშველეთ). მივედით და ვნახეთ პეტროვი, რომელიც მუცელში იყო დაჭრილი და საკაცურით გავაგზავნეთ თოფურიას საავადმყოფოში. იმ სროლამ თურმე ისე დააშინა ყაზახები, რომ უკან, ყაზარმებისკენ გაქცეულიყვენ.

ასე ამ რიგათ სროლამ გასტანა ღამის თორმეტ საათამდე. შემდეგ პარმენ ჭიჭინაძემ გამოგვიცხადა ყველა რაზმელებს, რომ აწი ქალაქში ყაზახები აღარ გამოვლენ და დაიშალეთო.

ნაწილი მართლაც დაიშალა, ნაწილი კი დარჩა ქალაქში წესრიგის დამცველათ.

საჭიროა მოკლეთ აღვნიშნო თუ რამ გამოიწვია სროლა. როგორც მეორე დღეს გავიგე წითელი რაზმელები—აფრიდონიძე და მისი ორი ამხანაგი ბალახვანში მისეირნობდენ ეტლით ნასვამები და თან გამოწყობილი ყოფილიყვენ ჩაქურებში და იარაღებიც თან ქონებოდათ. გზაში შეხვედროდათ ყაზახები, რომლებსაც ცხენები მიყავდათ წყლის დასალევათ, შელაპარაკებოდენ ერთი მეორეს და ამ შელაპარაკებას მოყოლოდა რაზმელების მიერ რამოდენიმე ყაზახის ცემა. ჩხუბის შემდეგ ყაზახები გაბრუნდენ ყაზარმაში, შეიარაღდენ და გამოვიდენ სანადიროთ, რასაც შემდეგში მოყვა ბარიკადების მოწყობა და სროლის ატეხა ქალაქში.

ორიოდე სიტყვა ბარიკადებზედ: ბარიკადების გაკეთების გამოცდილება არავის არ ქონდა. გასაკვირიც არ არის, რომ ჩვენი ბარიკადები უვარგისი ყოფილიყვენ, მთელი ქალაქის ცენტრალური ქუჩები დახლართული იყო ეკლიანი მავთულის ქსელით, ერთი ქუჩიდან რომ გდგომებოდა მეორეში გადასვლა უსათუოდ უნდა გამძვრალიყავი ხლართის ქვეშ.

ს. ლომიძე.